

ა (ა)იპ

# „სამართლის მეცნიერთა კავშირი„

## წესდება

(დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება)

თბილისი

2014 წ.

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. „სამართლის მეცნიერთა კავშირი“ (შემდგომში „კავშირი“) არის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. „კავშირი“ თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.2. **ორგანიზაციის სახელწოდებაა - „სამართლის მეცნიერთა კავშირი“.**

1.3. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.4. იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე -3 -ე კვ. მე- 2-ე კორპუსი, ბინა # 1.

1.5. ელ-ფოსტის მისამართი: [s.unionlaw@yahoo.com](mailto:s.unionlaw@yahoo.com)

1.6. ორგანიზაცია იქმნება და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

## **მუხლი 2. კავშირი - ს საქმიანობის მიზნები.**

**კავშირის საქმიანობის მიზნებია:**

2.1. საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ხელისშეწყობა;

2.2. საზოგადოებაში მართლშეგნების დონის ამაღლების ხელისშეწყობა;

2.3. სამართლის მეცნიერების და იურიდიული განათლების განვითარების ხელისშეწყობა;

2. 4. სამართლის მეცნიერთა და მკვლევართა, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა კოორდინაცია;

2.5. სამართლის დარგში სამეცნიერო კვლევების კოორდინაცია;

2.6. სამართლის მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა უფლებათა დაცვა;

2.7. სამართლის მეცნიერების, იურიდიული განათლების და ასევე პროფესორ - მასწავლებელთა უფლებათა ხელისშემშლელი ნორმატიული აქტების გამოვლენა და ამ აქტების გაუქმების/ან და შეცვლის მიზნით საქმის წარმოების აღძვრა როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის და აღმასრულებელი ორგანოს წინაშე, ასევე იმავე მიზნით საკონსტიტუციო, თუ საერთო სასამართლოებში სარჩელების აღძვრა.

## **მუხლი 3 კავშირის საქმიანობის ფორმები**

**თავისი მიზნების განსახორციელებლად კავშირი:**

3.1. ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საექსპერტო საქმიანობას;

3.2. ახდენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელისშეწყობას და კოორდინაციას;

3.3. ხელს უწყობს განსაკუთრებული სამეცნიერო კვლევების წარმოჩენას;

3.4. ამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს;

3.5. მონაწილეობს საკანონმდებლო ცვლილებების განხილვაში;

3.6. ახდენს კანონპროექტების და საკანონმდებლო ბაზის სამართლებრივ შეფასებას, ექსპერტიზას და მათზე ამზადებს დასკვნებს;

3.7. ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს და აწყობს დისკუსიებს;

3.8. გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებს და სხვა ლიტერატურას;

- 3.9. ატარებს საჯარო ლექცია-სემინარებს და ტრენინგებს;
- 3.10. ზრუნავს იურიდიული ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის, შექმნასა და განვითარებაზე;
- 3.11. ზრუნავს სამართლის დარგში დაცული დისერტაციების და რეფერატების ბანკის შექმნაზე;
- 3.12. ქმნის კავშირის სტრუქტურულ ერთეულებს;
- 3.13. ქმნის კომისიებს და სამეცნიერო საბჭოებს;
- 3.14. აწესებს და ანიჭებს ტიტულებს, გასცემს ჯილდოებს, პრემიებს სამართლის მეცნიერების და იურიდიული განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ასევე ამ დარგის ხელისშეწყობისათვის განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების წარმოსაჩენად;
- 3.15. ამყარებს ურთიერთობებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მომუშავე მეცნიერებთან, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პროფესიულ ორგანიზაციებთან;
- 3.16. თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- 3.17. ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს.
- 3.18. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

#### **მუხლი 4. კავშირის დამფუძნებლები**

##### **4.1. კავშირის დამფუძნებლები არიან:**

1. **ოთარ გამყრელიძე 01010003252**
2. **გია მეფარიშვილი 01020003829**
3. **არჩილ ლორია 01024017625**
4. **გია ლილუაშვილი 01024000757**
5. **კახი ყურაშვილი 01032002401**
6. **ზვიად გაბისონია 01026008225**
7. **როინ მიგრიაული 01001002335**
8. **ზვიად როგავა 01008012864**
9. **შალვა ქურდაძე 35001004156**
10. **ზურაბ ჭყონია 33001007834**

#### **მუხლი 5. კავშირის წევრობა**

- 5.1. კავშირს ჰყავს წევრები და ასევე საპატიო წევრები.
- 5.2. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს სამართლის მეცნიერი, კერძოდ, სამართლის დარგის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, სამართლის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი, ასევე სამართლის მკვლევარი (რაც დასტურდება პუბლიკაციებით), რომელიც იზიარებს კავშირის წესდებასა და მიზნებს. მკვლევარის კვალიფიკაციის სათანადოთ მიჩნევა განეკუთვნება მხოლოდ კავშირის გამგეობის დისკრეციულ უფლებამოსილებას.
- 5.3. კავშირის წევრად პირის მიღება ხდება:

ა) კავშირის გამგეობის მოწვევით. მოწვევას პირს უგზავნის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე კავშირის თავმჯდომარე. მოწვეული პირი კავშირის წევრად მიღებულად ჩაითვლება ამ პირის წერილობითი თანხმობის კავშირში შემოსვლის დღიდან და აღნიშნულს არ ესაჭიროება კავშირის გამგეობის თანხმობა.

ბ) წევრობის მსურველის წერილობითი განცხადებით კავშირის გამგეობისათვის მიმართვით. გამგეობა წევრობის მსურველის წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 2 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კავშირის მინიმუმ 5 წევრის წერილობითი რეკომენდაცია.

5.5. სამართლის მეცნიერების და პრაქტიკის, ასევე იურიდიული განათლების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით პირს შეიძლება მიენიჭოს კავშირის საპატიო წევრის სტატუსი. საპატიო წევრზე არ ვრცელდება კავშირის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.

## **მუხლი 6. წევრის უფლება-მოვალეობები**

### **6.1. წევრი უფლებამოსილია:**

6.1.1 მონაწილეობდეს კავშირის საქმიანობაში;

6.1.2. მონაწილეობს კავშირის მართვაში ხმის უფლებით;

6.1.3. არჩეულ იქნეს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში;

6.1.4. მონაწილეობდეს კავშირის მართვაში სათათბირო ხმის უფლებით;

6.1.5. მიიღოს ინფორმაცია კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან კავშირის საქმიანობის შესახებ;

6.1.6. კავშირის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს კავშირის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით.

### **6.2. კავშირის წევრი ვალდებულია:**

6.2.1. დაემორჩილოს კავშირის წესდებას, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

6.2.2. გაუფრთხილდეს კავშირის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

6.2.3. პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს კავშირის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

6.2.4. გადაიხადოს საწევრო შესატანი კავშირის წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

### **6.3. კავშირის წევრს უფლებამოსილება უწყდება:**

6.3.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

6.3.2. გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის 1 (ერთი) წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

6.3.3. სასამართლო გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

6.3.4. გარდაცვალებისას.

6.3.5. წევრობიდან გასვლა ხორციელდება წევრად მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის წევრის მიერ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

6.3.6. წევრი კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს კავშირიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კავშირის მიზნებს ან წესდებით

ნაკისრი ვალდებულებების სისტემატურად ან არაჯეროვნად დაუცველობის შემთხვევაში.

### **მუხლი 7. კავშირის წევრთა საერთო კრება**

7.1. კავშირის უმაღლეს მართველობის ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

7.2. კრება მოიწვევა კავშირის გამგეობის მიერ და ტარდება ყოველი წლის აპრილში შაბათ დღეს.

7.3. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებებს საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა კავშირის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

7.4. წევრთა რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა კავშირის თავმჯდომარის, გამგეობის და კავშირის წევრთა 1/5 (ერთი მეხუთედის) ინიციატივით, გამგეობის მიერ, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. კრება უნდა ჩატარდეს მოწვევის შესახებ განცხადების გაკეთებიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.

7.5. კრების მოწვევის შესახებ მომწვევი პერსონალურად წერილობით ატყობინებს წევრებს კრების დღის წესრიგის, გამართვის ადგილის, ზუსტი თარიღის და დროის მითითებით, ელექტრონულ მისამართზე, საცხოვრებელ და/ან იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებით, ან სხვა ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებებით შეტყობინებით, რაც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების უტყუარ დადასტურებას.

7.6. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება კავშირის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში კრება გადაიდება და მოიწვევა განმეორებით იმავე წესით. განმეორებითი კრება უნდა დაინიშნოს პირველი კრებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. განმეორებითი კრება ლეგიტიმურია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

7.7. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ დამსწრეთა ხმების 2/3-ით.

7.8. წევრთა საერთო კრებაზე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე კავშირის გამგეობის წევრთა და სარევიზო კომისიის არჩევის ან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას კენჭისყრაში არ მონაწილეობენ და შესაბამისად არ სარგებლობენ ხმის უფლებით კავშირის ის წევრები, რომლებიც არიან საჯარო მოხელეები.

### **7.8. საერთო კრების კომპეტენციაა:**

7.8.1. კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

7.8.2. კავშირის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

7.8.3. ფარული კენჭისყრის წესით კავშირის გამგეობის წევრთა არჩევა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გათავისუფლება;

7.8.4. ფარული კენჭისყრით კავშირის სარევიზო კომისიის წევრთა არჩევა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გათავისუფლება.

7.8.5. კავშირის გამგეობისა და სარევიზო კომისიის და კავშირის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშის მოსმენა;

7.8.6. კრებაზე ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 წევრის შემადგენლობით.

## **მუხლი 8. გამგეობა**

8.1. კავშირის მართვის ორგანოა 5 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლის წევრებსაც კავშირის წევრთაგან 4 (ოთხი) წლის ვადით ირჩევს კავშირის წევრთა საერთო კრება. კავშირის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის გამგეობაში და იგი ამავე დროს არის გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

8.2. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია კავშირის თავმჯდომარის ხმა. გამგეობის წევრებს კრებაზე მონაწილეობა მასზედ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ დისტანციურად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.3. გამგეობის სხდომის მოწვევა საჭირო არაა, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხს წერილობით ეთანხმება გამგეობის ყველა წევრი. წერილობითი თანხმობა სხდომის ოქმის ტოლფასია და ითვლება გამგეობის გადაწყვეტილებად.

8.4. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისა და მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც, ყოველი მეორე თვის მესამე კვირაში. გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ კავშირის თავმჯდომარე (ან თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი) პერსონალურად 7 (შვიდი) დღით ადრე წერილობით ატყობინებს სხდომის დღის წესრიგის, გამართვის ადგილის, ზუსტი თარიღის და დროის მითითებით, ელექტრონულ მისამართზე, საცხოვრებელ და/ან იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებით, ან სხვა ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებებით შეტყობინებით, რაც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების უტყუარ დადასტურებას. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომა გადაიდება და მოიწვევა განმეორებით, რის შესახებაც გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომამდე 2 დღით ადრე. განმეორებითი კრება უნდა დაინიშნოს პირველი სხდომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

8.5. როგვარეუმი გამგეობის სხდომის მოწვევა შეუძლია კავშირის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით, ასევე გამგეობის 3 წევრის ინიციატივით.

### **8.6. გამგეობა:**

8.6.1. გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს კავშირის თავმჯდომარეს 4 (ოთხი) წლის ვადით;

8.6.2. ირჩევს კავშირის საპატიო თავმჯდომარეს;

8.6.3. იწვევს და ატარებს საერთო კრებას;

8.6.4. თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ორგანიზაციულ სტრუქტურას; წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე 5 დღით ადრე;

8.6.5. ფარული კენჭისყრით წყვეტს პირის კავშირის წევრად მიღების საკითხს;

8.6.6. ფარული კენჭისყრით წყვეტს საპატიო წევრის სტატუსის მინიჭების საკითხს;

8.6.7. აწესებს და ანიჭებს ტიტულებს, გასცემს ჯილდოებს, პრემიებს;

8.6.8. ამტკიცებს კავშირის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

8.6.9. ფარული კენჭისყრით გამგეობის წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს კავშირის თავმჯდომარეს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში;

8.6.10. ქმნის კავშირის სტრუქტურული ერთეულების, ფილიალების, რეგიონალური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

8.6.11. ანხორციელებს იმ პროგრამებს, რაც გამომდინარეობს კავშირის მიზნებიდან;

8.6.12. აფუძნებს კავშირის საწარმოებს და წყვეტს სხვა საწარმოებში კავშირის წილობრივი მონაწილეობის საკითხს;

8.6.13. წყვეტს სხვა საკითხებს რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა კომპეტენციას.

8.7. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

8.8. კავშირის გამგეობის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საჯარო მოხელე და პოლიტიკური პარტიის წევრი. საჯარო სამსახურში შესვლის ან პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში გამგეობის წევრს უწყდება უფლებამოსილება.

**8.9. კავშირის გამგეობის წევრები არიან:**

1. არჩილ ლორია - პირადი ნომერი 01024017625

2. კახი ყურაშვილი - პირადი ნომერი 01032002401

3. გია ლილუაშვილი - პირადი ნომერი 01024000757

4. შალვა ქურდაძე - პირადი ნომერი 35001004156

5. ზურაბ ჭყონია - პირადი ნომერი 33001007834, დაბ. 1972 წლის 14 იანვარს ქ. თბილისში, მის. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-4-ე კვ. 15-ე კორპ. ბინა 16.

## **მუხლი 9. კავშირის თავმჯდომარე**

9.1.1 ერთი და იგივე პირი კავშირის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

9.1.2. კავშირის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყველა წევრს. თავმჯდომარისა უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

9.1.3. თუ თავმჯდომარე ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებებს, ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება უნდა დაევალოს გამგეობის უხუცეს წევრს.

9.1.4. კავშირის თავმჯდომარის დავალებით და რწმუნებით თავმჯდომარის მოვალეობას წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს გამგეობის რომელიმე წევრი. თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი.

## **9. 2. კავშირის თავმჯდომარე:**

9.2.1. წარმართავს კავშირის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

9.2.2. ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს; გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

9.2.3. მოქმედებს კავშირის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებთან და სასამართლოებში;

9.2.4. განკარგავს კავშირის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას, ხსნის და განკარგავს კავშირის ანგარიშებს;

9.2.5. ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

9.2.6. დებს გარიგებებს კავშირის სახელით, ასევე ხელშეკრულებებს პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

9.2.7. კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტების კოორდინატორებს;

9.2.8. ნიშნავს და ათავისუფლებს კავშირის სხვა თანამშრომლებს;

9.2.9. წყვეტს კავშირის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხებს და ამ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;

9.2.10. უძღვება კავშირის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

9.2.11. ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

9.3. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან კავშირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

9.4. კავშირის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე და პოლიტიკური პარტიის წევრი. საჯარო სამსახურში შესვლის ან პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში კავშირის თავმჯდომარეს უწყდება უფლებამოსილება.

9.5. კავშირის თავმჯდომარის ანაზღაურების საკითხი და ხელფასის ოდენობა გადაწყდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

**9.6. კავშირის თავმჯდომარეა ზურაბ ჭყონია** - პირადი ნომერი 33001007834, დაბ. 1972 წლის 14 იანვარს ქ. თბილისში, მის. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-4-ე კვ. 15-ე კორპ. ბინა 16.

## **9.7. საპატიო თავმჯდომარე**

9.7.1. კავშირის საპატიო თავმჯდომარეს ირჩევს გამგეობა.

9.7.2. საპატიო თავმჯდომარეს არ გააჩნია კავშირის თავმჯდომარისათვის წესდებით გათვალისწინებული არანაირი უფლება-მოვალეობები.

## **მუხლი 10. სარევიზიო კომისია**

10.1. კავშირის თავმჯდომარის მიერ და ზოგადად კავშირის ფინანსების და სხვა ქონების საწესდებო მიზნებისათვის გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს სამი წევრისაგან შემდგარი კავშირის სარევიზიო კომისია, რომელსაც წევრთა საერთო კრება ირჩევს 3 (სამი) წლის ვადით. კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

10.2. სარევიზიო კომისიის წევრი არ უნდა იყოს გამგეობის წევრი და კავშირის მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი, ასევე საჯარო მოხელე და პოლიტიკური პარტიის წევრი.

10.3. სარევიზიო კომისია რევიზიას ახორციელებს წელიწადში ერთხელ და ანგარიშს წარუდგენს საერთო კრებას. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს უბრალო უმრავლესობით.



10.4. სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან კომისიის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული კომისიის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

10.5. სარევიზო კომისიის წევრს საჯარო სამსახურში შესვლის ან პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში უწყდება სარევიზო კომისიის წევრის უფლებამოსილება.

## **მუხლი 11. კავშირის ქონება**

11.1 კავშირის ქონება იქმნება საწევრო შენატანებით, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

11.2. კავშირის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

## **მუხლი 12. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება:**

12.1.1 კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.1. 2. კავშირის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

12.1.3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;

12.1.4. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

12.2. კავშირის ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კავშირის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.